

საქართველოს კანონი

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №46 22.12.09 მუხ. 346) 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის მიერ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი